

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით და ჯგუფთაშორისი ურთიერთობები ემიგრაციაში

ეკატერინე ფირცხალავა¹

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი კვლევიდან, რომელიც საქართველოდან გერმანიაში მიგრაციის შემდეგ ახალ სოციალურ გარემოში ქართველების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის შესწავლას ეხება. საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხანგრძლივმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა არასტაბილურობამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს ბევრმა მოქალაქემ ოჯახების გადარჩენისთვის ემიგრაცია აირჩია. მოსახლეობის გადინება დღესაც გრძელდება, ბოლო სამი წლის განმავლობაში (2014-2016) საქართველოდან წასულ ემიგრანტთა რიცხვი იზრდება. ემიგრაციის სამიზნე ქვეყნები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ევროკავშირის ქვეყნები გახდა უფრო მიმზიდველი ქართველი მიგრანტებისთვის. ამ ნაშრომში სიღრმისეული ინტერვიუების დროს მიღებულ მასალებზე დაყრდნობით, ნაცადია გემანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფურ) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფურ) ურთიერთობების შესწავლა. ქართველ ემიგრანტებთან, რომლებიც მინიმუმ 10 წელია ემიგრაციაში ცხოვრობენ, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზებულია მათი ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოში ადაპტაციის ინტეგრაციის პროცესის დინამიკა, სუბიექტური აღქმების საფუძველზე ჯგუფის შიდა და ჯგუფთაშორისი სტიგმატიზების, კოგნიტური დისონანსის დაძლევისა და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების სტრატეგიების შესწავლა.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, გერმანია, იდენტობა, კოგნიტური დისონანსი

შესავალი

გასული საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხანგრძლივმა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოდან საზღვარგარეთ მიგრაციის მკვეთრი ზრდა განაპირობა. 1992-1996 წლებში ენერგო-რესურსების ნაკლებობისა და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო, ქვეყნის ეკონომიკა პარალიზებული იყო, რამაც სხვაგან უკეთესი ცხოვრების საძებნელად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ემიგრაციაში წასვლა განაპირობა. მიგრაციის პროცესი არ შენელებულა XXI საუკუნეშიც, 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგ მოსახლეობა შემცირდა დაახლოებით 640,000 ადამიანით. ბოლო ორი ათწლეულის აღწერის მიხედვით, კი მოსახლეობა შემცირებულია 1,241 000 ადამიანით (22, 72%) (Rashid,

¹ პასუხისმგებელი ავტორი:

ეკატერინე ფირცხალავა, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ekaterine.pirtskhalava@tsu.ge

n.d.; *World Bank Report WB*, 1990). მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2011 წლიდან (*World Bank Report WB*, 2011) უცხოეთში 1 მილიონზე მეტი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს და მუშაობს. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით კი 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3,729,500. მოსახლეობის გადინება დღესაც გრძელდება და საქართველოდან წასულ ემიგრანტთა რიცხვი იზრდება.

ქართველი მიგრანტებისთვის ემიგრაციის სამიზნე ქვეყნები დროთა განმავლობაში განსხვავებული იყო. დინამიკა პოსტსაბჭოთა სივრციდან დასავლეთ ევროპისკენ ნელ-ნელა გარემოებების გამო შეიცვალა.

დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოდან ემიგრანტების უმრავლესობა პოსტსაბჭოთა სივრცეს ირჩევდა. მიგრაციის მიზეზები რუსული ენის ცოდნა, უვიზო რეჟიმი [2008 წლამდე] და გეოგრაფიული მდებარეობა იყო. მათი მიგრაციის მიმართულება იყო რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი და, ასევე, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები. 2006 წლის ეკონომიკურმა ემბარგომ და ორ ქვეყანას შორის სამხედრო დაპირისპირებამ 2008 წლიდან რუსეთი ნაკლებად მიმზიდველი გახადა ქართველი ემიგრანტებისთვის.

2006 წლიდან უვიზო რეჟიმის შემოღებამ თურქეთთან, ეს ქვეყანა ქართველებისთვის მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აქცია (Chindea et al., 2008; ბადურაშვილი & ნადარეიშვილი, 2012).

მოგვიანებით ევროკავშირის ქვეყნები და ამერიკა გახდა უფრო მიმზიდველი ქართველი მიგრანტებისთვის და „მიგრაციის ფაქტების საქართველო“-ს მიხედვით – 2011 წლიდან მიგრაციის სამიზნე დასაცვლეთ ევროპული ქვეყნები გახდა, მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო იტალია, ესპანეთი, შვედეთი, შტატები, უკრაინა, საბერძნეთი (Chumburidze et al., 2015). „საქართველოს მიგრაციის პროფილი 2019“ კი აჩვენებს, რომ ქვეყნების ვიზიტის სიხშირის მიხედვით ყველაზე მეტად გერმანიას, იტალიას და საბერძნეთს სტუმრობენ.

მოცემული სტატია ეხება გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს, რომლებიც წლების წინ განათლების მისაღებად ჩავიდნენ გერმანიაში და დარჩნენ საცხოვრებლად, მათ აღქმებს ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესში და მათ დამოკიდებულებებს (ატიტუდებს) თანამედროვე საქართველოს მიმართ.

ქართულ-გერმანული ურთიერთობები 200 წელს ითვლის, ის სამხრეთ გერმანელი (Swabian) ფერმერების საქართველოში მიგრაციით დაიწყო. გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები. გერმანიის საელჩო თბილისში 1992 წელს გაიხსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანული ენა, როგორც მეორე უცხო ენა, ბევრ ქართულ სკოლაში ისწავლებოდა და ისწავლება (Gorgoshidze et al., 2014). გარდა ამისა, წლებია გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური ყოველწლიურად სთავაზობს სტიპენდიებს ქართველ სტუდენტებს გერმანიაში უმაღლესი განათლების გასაგრძელებლად, რამაც გაამყარა ძლიერი კავშირები საქართველოსთან. გარდა ამისა, საქართველოში წლებია არსებობს „au pair programs“ პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდებს სთავაზობენ შესაძლებლობას იცხოვრონ ერთი წლის განმავლობაში გერმანულ ოჯახში, დაეხმარონ ოჯახს

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

და მათ შვილებს და ისწავლონ გერმანული ენა (Gorgoshidze et al., 2014). ამის შემდეგ კი საშუალება ეძლევათ, სურვილის შემთხვევაში, გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში ან შეისწავლონ რამე პროფესია, რომელსაც გერმანიის სახელმწიფო სთავაზობს როგორც ადგილობრვ მაცხოვრებლებს, ისევე ემიგრანტებს.

გერმანიაში საქართველოს საკონსულოს 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გერმანიაში 27 315 ქართველი ცხოვრობს, აქედან 56,8% ქალია. გერმანიაში მცხოვრები მამაკაცების საშუალო ასაკი 31,4 წელია, ქალების 33,0. ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, ყველაზე მეტია 30-35 წლის, შემდეგ მოდის 20-25 და 35-40 წლის.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო ახალ სოციო-კულტურულ გარემოში, გერმანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის დინამიკის, სუბიექტური აღქმების საფუძველზე ჯგუფის შიდა და ჯგუფთაშორისი სტიგმატიზების, კოგნიტური დისონანსის დაძლევისა და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების სტრატეგიების შესწავლა.

კვლევა ჩატარდა მარბურგში – ჰესენის ფედერალურ მხარეში. რუსთაველი – DAAD ერთობლივი Post-Doc კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში, მარბურგის უნივერსიტეტის ბაზაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ერთი ადგილიდან მეორეზე საცხოვრებლად გადასვლა, ახალ გარემოში (სხვა ქვეყანაში) ცხოვრებასთან ადაპტაცია და ემიგრანტად ყოფნა ბევრ სირთულეს უქმნის ადამიანს. თავს იჩენს გამოწვევები, რომლისთვისაც მზად უნდა იყოს, რისთვისაც აუცილებელია ადაპტაციის გარკვეული სტრატეგიების შემუშავება. მიგრაციის პროცესი ორი ან რამდენიმე სოციალური ჯგუფის უშუალო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ ცვლის ერთი ჯგუფი მეორეს, ან ინდივიდი სოციალურ ჯგუფს და პირიქით. ასეთ შემთხვევებში განიხილება ორი მოვლენა: ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობები (Tajfel, 1974).

ინტერჯგუფური პროცესების საფუძველი სოციალური კატეგორიზაციაა, რომელიც იწყება საგნების, მოვლენების, ინდივიდების საერთო ნიშანთა მოძებნით და სრულდება ამ ნიშნების მიხედვით სოციალური კატეგორიების შექმნით (Tajfel, 1974).

სოციალური კატეგორიზაციის ფენომენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყნების ეთნიკურ და რელიგიურ ურთიერთობებში. როდესაც ემიგრანტები „სხვა“ ჯგუფებად იქცევიან, ხალხი გაზვიადებით აღიქვამს განსხვავებებსა და მსგავსებებს მათი ჯგუფის წევრებთან. ეს პროცესი მნიშვნელოვანია მიგრანტების ახალ საზოგადოებაში, გარშემო არსებული სოციალური გარემოს ორგანიზებისა და სტრუქტურირებისთვის. მასპინძელ ქვეყანაში ახალ ცხოვრებასთან ადაპტაცია და მიგრანტობა ხშირად იწვევს პრობლემებს, რომელსაც ახლად ჩამოსული ემიგრანტები, საკუთარი სტრატეგიების შემუშავებით უნდა გაუმკლავდნენ. მიგრაციისას ადამიანების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესები კომპლექსურ ხასიათს ავლენს, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და მასპინძელ საზოგადოებასთან ურთიერთობებს შორის ბალანსის დაცვა.

ემიგრანტები ახალ საზოგადოებაში ცხოვრების სხვადასხვა გზას ირჩევენ. მკვლევარები გამოყოფენ (Berry, 2001; Padilla, 2006; Sam & Berry, 2006; Sammut, 2010) რიგ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, მაგალითად, ემიგრანტის ინდივიდუალური უნარ-ჩვევები, ახალი ენისა და კულტურის შესწავლის სურვილი, დომინანტური მასპინძლის კულტურის ღირებულებებთან შეგუება; მასპინძელი საზოგადოების ღიაობა და ტოლერანტობა ახალი წევრების მიმართ და ა.შ. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ (de Haas & Fokkema, 2011) სოციალური ინტეგრაცია ორი ნაწილისგან შედგება: სტრუქტურული ინტეგრაცია და სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია. ერთი მხრივ, სტრუქტურული ინტეგრაცია ნიშნავს უფლებებისა და სტატუსის შექმნას მიმღები საზოგადოების ძირითად ინსტიტუტებში (დასაქმება, საცხოვრებელი ფართი, განათლება, პოლიტიკური და მოქალაქეობის უფლებები). მეორე მხრივ, სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია გულისხმობს მიმღები საზოგადოების ნორმებთან შესაბამისობაში კოგნიტურ, ქცევით და დამოკიდებულებით ცვლილებებს (სოციალური ურთიერთობა, მეგობრობა, ქორწინება და სხვადასხვა ორგანიზაციის წევრობა + კუთვნილების გრძნობა).

ინდივიდები, რომლებიც მიგრირებენ, თავიდან ხვდებიან კონფლიქტურ სიტუაციაში, განსაკუთრებით თუ ისინი განსხვავებული საზოგადოებიდან მოდიან. რადგანაც მათი კულტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, მათში უკვე გამჯდარი, მოსარგებია ახალი წესებისთვის, რომელსაც დამხვედრი/მასპინძელი საზოგადოება სთავაზობს. ამ მორგებას ისინი ინკულტურაციით თუ აკულტურაციით სხვადასხვანაირად ახერხებენ, იმის მიხედვით, რომელ ეტაპზეა მათი ცხოვრება დამხვედრ საზოგადოებაში (Camilleri & Malewska-Peyre, 1980). ეს დამოკიდებულია მათი მიგრაციის ხანგრძლივობაზე, ოჯახთან ერთად მიგრირებენ თუ მარტო, ასევე, მიგრაციის მიზანზე, საგანმანათლებლოა ეს მიგრაცია თუ შრომითი, და კიდევ ერთი გარემოება – საკუთარ ქვეყანაში აპირებენ დაბრუნებას თუ რჩებიან ახალ გარემოში.

ინდივიდუალური ინტეგრაციის დროს, ემიგრანტს დიდ დახმარებას უწევს განათლება, რომელსაც ის იღებს მასპინძელ ქვეყანაში და სოციალიზაცია (Camilleri & Malewska-Peyre, 1980). ურთიერთობა ადგილობრივ სოციალურ გრემოსთან განსხვავებულად, უფრო ძალდაუტანებლად უწევს, რადგანაც კლასელები, სკოლელები, უნივერსიტეტის ამხანაგები შედარებით უკეთეს გარემოს ქმნიან ინტეგრაციისთვის, რაც მეტია განათლების (საშუალო, უმაღლესის სამივე საფეხური) და სოციალიზაციის წილი, მით უფრო ადვილად ხდება ინტეგრირება საზოგადოებაში, თუმცა ამ პროცესში დიდ როლს ასრულებს შედარება წეს-ჩვეულებებსა და ღირებულებებს შორის, რაც მასპინძელ და მის საკუთარ კულტურას შორის არსებობს, ეს თავისთავად ისახება სოციალურ აღქმაში და ისინი ან აკოპირებენ გარკვეულ წესებს, ახალს და მათთვის უჩვეულოს, ან არ იღებენ და ეძებენ საკუთარი კულტურის წარმომადგენლებს სოციალური შემსუბუქებისთვის, ამ განსხვავებების გაზიარებისთვის. ინტერაქციული და ინტერაქციული კომუნიკაციის შედეგად ადამიანები არა მხოლოდ აყალიბებენ ნორმებს, არამედ ახდენენ მათ ინტერნალიზებას საკუთარ სელფში.

როგორც მკვლევრები (Hassan & El Kinani, 2002) ამტკიცებენ, მიგრაციის პროცესში ახალი გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ემიგრანტზე. ახალი გარემოს

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

მოთხოვნებთან გამკვლავებას სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური პრობლემა ახლავს, ფიშერის (Fisher, 1990) თანახმად, „გეოგრაფიული გადაადგილების ეფექტი ინდივიდზე დიდწილად მისი პიროვნული ცვლილებებით განისაზღვრება“. რუტინის დარღვევამ, არსებული ცხოვრების წესის და ტერიტორიის/სამშობლოს შეცვლამ შეიძლება ხელი შეუწყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემების გაჩენას (Fisher, 2016). სახლიდან წასვლისა და უცნობ გარემოში ცხოვრების შედეგად ადამიანებს აქვთ ფსიქოლოგიური დისტრესი, რომელსაც სახელად შიშის გრძნობა ჰქვია (Tilburg et al., 1996). ძლიერ ენატრებათ ოჯახი და მეგობრები და ის, რაც სახლთან არის დაკავშირებული (Thurber et al., 2007). ზოგჯერ ის ასოცირდება მრავალფეროვან სომატურ დაავადებებთან, დეპრესიასთან, ფსიქოლოგიურ დისტრესთან და ასე შემდეგ (Thurber et al., 2007). ფიშერის (Fisher, 2016) მიხედვით, სახლის მონატრება დაკავშირებულია ოჯახთან, მეგობრებთან, ზრუნვასთან, სახლთან და რუტინასთან. ამ დროს მიგრანტებმა ახალ ქვეყანაში ცხოვრების გამოწვევას უნდა დაუპირისპირონ შემუშავებული საკუთარი სტრატეგიები.

ირვინგ გოფმანი (Goffman, 2009) წიგნში „სტიგმა: შენიშვნები წარუმატებელი იდენტობის მართვაზე“ ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანები საკუთარი თავის პოზიტიურად წარმოჩენას ძალიან ცდილობენ, სურთ გავლენა მოახდინონ ადამიანებზე, ჰქონდეთ კარგი იმიჯი და აკონტროლონ საკუთარი გარემო. ეს ყველაფერი ქმნის პოზიტიურ იდენტობას, რომლის საპირისპიროდაც, დაუცველად ყოფნის შეგრძნება გადამწყვეტ როლს თამაშობს იმიგრანტების ნეგატიური იდენტობის ჩამოყალიბებაში (Camilleri & Malewska-Peyre, 1996). იდენტობის სტრატეგიების შემუშავება, როგორც მკვლევრები (Camilleri & Malewska-Peyre, 1996) აღნიშავენ, ამსუბუქებს ყოფას ავტოქტონებთან. კამილერი და მალევსკა პეირის (Camilleri & Malewska-Peyre, 1996) მიხედვით, ადამიანი საკუთარი თავისთვის მინიჭებული ღირებულების ხელყოფის პასუხად, შეიმუშავებს დაცვის იდენტობის სტრატეგიებს. მათ თავისი კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბეს 2 სახის სტრატეგია: ონტოლოგიური და პრაგმატული. ონტოლოგიური სტრატეგია გულისხმობს უცხო კულტურაში ყოფნის დროს საკუთარი კულტურის ერთგულებას, ხოლო პრაგმატული – დომინანტურ კულტურასთან შეგუებას და მისი ღირებულებების გარკვეულ გაზიარებას. ასევეა ე.წ. „ქამელეონის“ იდენტობა, ასეთ შემთხვევაში მიმართავენ გარემოებებიდან გამომდინარე ქცევას.

ავტორების მიხედვით (Camilleri & Malewska-Peyre, 1996) ამ სტრატეგიებში არის კოლექტიური და ინდივიდუალური სტრატეგიები; მიგრანტებისთვის კოლექტიური სტრატეგიებიდან დამახასიათებელია საკუთარი კულტურის იდეალიზება და დასავლური ცივილიზაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მეორე კოლექტიური სტრატეგია არის ხაზგასმა არა ეროვნულზე, არამედ საერთო ადამიანურსა და ეგალიტარულზე. ეს სტრატეგია გულისხმობს იმ ღირებულებების თავმოყრას, რომლებიც საერთოა ადგილობრივი და მიგრანტი ადამიანებისათვის.

ისინი გამოყოფენ შემდეგ ინდივიდუალურ სტრატეგიებს: „ნეგატიური“ იდენტობა (ამა თუ იმ სოციალური ობიექტის იდენტობის მიუღებლობა/უარყოფა), „იდენტობა-დაცვა“ (რეაქცია ძველი სტერეოტიპების ნგრევაზე), „განმასხვავებლური რეაქცია“, ანუ „რეაქტიული იდენტობა“ (სხვებზე რეაქცია მათგან განსხვავებულობის აღქმის

საფუძველზე). ადამიანი ნეგატიური იდენტობისგან თავისუფლდება, როცა თავს აი- გივებს იმასთან, ვინც მომგებიან პოზიციაშია. მას გამაუფასურებელი მიწერილობა გადააქვს თავისი ეთნოსის სხვა წევრებზე, ამით ცდილობს დაშორდეს თავისი ეთნოსის წევრებს. ეს არის ქვესტრატეგია – „გადატანილი ნეგატიური იდენტობა“ (ან „ნეგატიური იდენტობის გადატანა“). ასევე, ძალიან ხშირია შემდეგი ინდივიდუალური ქვესტრატეგიები, მაგალითად, იდენტობა „უჩინარი“ როცა ადამიანი ცდილობს ჩუმად და შეუმჩნეველად იყოს არსებულ ახალ გარემოში სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად. მეორე ქვესტრატეგია „ასიმილირება“, როცა ძალიან ემსგავსები ავტოქტონებს და ცდილობ განსხვავება არ შეიმჩნიო.

მეთოდოლოგია

მიგრაციის მკვლევარები, რომლებიც საზოგადოებაში ასიმილაციის, აკულტურაციის, ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესებს სწავლობენ, გვირჩევენ თვისობრივი მეთოდების გამოყენებას, რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ ის, თუ რას განიცდიან იმიგრანტები ახალ გარემოში ცხოვრებისას (Kim et al., 2001). კვლევა ჩატარდა თვისობრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით. ინტერვიუ ჩატარდა ქართულ ენაზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შერჩევის არაალბათური მეთოდი, „თოვლის გუნდა“. შერჩევის კრიტერიუმები იყო ემიგრაციის მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება. ინტერვიუები ტარდებოდა რესპონდენტებისთვის მოსახერხებელ ადგილას.

საველე სამუშაოები 2021 წლის ზაფხული-შემოდგომის პერიოდში მიმდინარეობდა. კვლევაში მონაწილეობაზე თანახმა იყო ბევრად ნაკლები ადამიანი, ვიდრე შევხვდით ამ კვლევის ფარგლებში. კვლევა ჩატარდა კვლევის ეთიკური ნორმების დაცვით, სულ ჩატარდა 28 სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 22-მა ქალმა და 6-მა მამაკაცმა რესპონდენტმა. მათი ასაკი 30-დან 50 წლამდე მერყეობდა.

ცხრილი 1. მონაწილეთა სოციო-დემოგრაფიული მონაცემები

ცვლადი	ასაკი	სქესი	გერმანიაში ცხოვრების ხანგრძ.	ცვლადი	ასაკი	სქესი	გერმანიაში ცხოვრების ხანგრძ.
P1	45+	ქალი	20	P15	33	ქალი	10
P2	30	მამაკაცი	10	P16	33	მამაკაცი	10
P3	39	ქალი	21	P17	46	ქალი	23
P4	39	ქალი	15	P18	49	მამაკაცი	26
P5	30	ქალი	10	P19	39	ქალი	17
P6	30+	ქალი	11	P20	34	ქალი	12
P7	36	ქალი	14	P21	33	ქალი	10
P8	33	ქალი	10	P22	49	მამაკაცი	10
P9	49	ქალი	29	P23	44	ქალი	10

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

P10	47	ქალი	23	P24	41	ქალი	20
P11	30	ქალი	10	P25	30	ქალი	10
P12	46	ქალი	26	P26	66	ქალი	21
P13	34	მამაკაცი	14	P27	48	ქალი	15
P14	38	მამაკაცი	19	P28	53	ქალი	15

ინტერვიუების 1/4 ჩატარდა ZOOM Online პლატფორმის საშუალებით. Covid-19 რეგულაციების გამო, ნაწილმა არ ისურვა შეხვედრა პირისპირ და დათანხმდა მონაწილეობას მხოლოდ ონლაინფორმატში.

კითხვებში ასახული იყო კვლევის მიზნის შესაბამისი საკითხები: პირველი ნაწილი ორიენტირებული იყო ინდივიდუალურ თვითრეფლექსიაზე, მონაწილეებს ვთხოვე განესაზღვრათ რა გახდა მასპინძელი ქვეყნის არჩევის მიზეზი; რა ტიპის პრობლემებს აწყდებიან ისინი ინტეგრაციის პროცესში; შემდეგ ნაწილში კითხვები ეხებოდა მათ აღქმებს და ჯგუფის კატეგორიზაციის გავლენას ქართველი მიგრანტების ახალ სოციალურ-კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის პროცესზე; მესამე ნაწილში კითხვები ეხებოდა ეთნიკურ იდენტობას, იმას, თუ როგორ ინარჩუნებენ ქართველები ეთნიკურ იდენტობას მასპინძელ ქვეყანაში, რათა განსაზღვრულიყო რა ტიპის სტრატეგიებს იყენებდნენ ისინი იდენტობის შესანარჩუნებლად გერმანიაში. მონაწილეები საკმაოდ თამამად აზიარებდნენ ინფორმაციას თავიანთი ოჯახის, ზოგადი ურთიერთობებისა და ადგილობრივ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის შესახებ, ყვებოდნენ მათი აღქმების შესახებ მიგრაციის, წარსულის, აწმყოს, მომავლის, ეთნიკური იდენტობის შესახებ, ასევე, ჯგუფის შიგნით და ჯგუფებს შორის არსებულ კონფლიქტებსა და მათი მიზეზების შესახებ. კითხვების ნაწილი ეხებოდა მათ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს თანამედროვე საქართველოს მიმართ და მათ მომავალ კავშირებს სამშობლოსთან.

ინტერვიუს ტრანსკრიპტების ანალიზის პროცესში გამოიყო შემდეგი კატეგორიები და ქვეკატეგორია:

ძირითადი კატეგორიები	პირველი რიგის სუბკატეგორია	რმეორე რიგის სუბკატეგორია
1. დასახლება გერმანიაში	ჩამოსვლის მიზეზი	სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში სწავლა- განათლება
2. იდენტობა	კოგნიტური დისონანსი	სამშობლოს მიმართ ჯგუფის შიგნით და ჯგუფთაშორისი კონფლიქტები და სტიგმატიზება;
	რქართველობა	სამშობლო, ენა სარწმუნოება/ რელიგია
3. აღქმები და სოციალიზაცია	იდენტობის სტრატეგიები	იდენტობის კოლექტიური და ინდივიდუალური სტრატეგიები

ძირითადი მიგნებები და დისკუსია

1. დასახლება გერმანიაში – ჩამოსვლის მიზეზი

კვლევაში მონაწილეების უმრავლესობის გერმანიაში ჩამოსვლის მიზეზი თითქმის ერთგვაროვანია და ორ მიმართულებას ასახავს. საქართველოში არსებული სოციო-ეკონომიკური, პოლიტიკური სიტუაცია და სწავლის ევროპაში გაგრძელების სურვილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამოქალაქო ომი და აფხაზეთის ომი საქართველოში ეკონომიკური კოლაფსის მიზეზი გახდა და ახალგაზრდები ცდილობდნენ საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესების გზები უცხოურ განათლებაში ეპოვათ. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოვიდა. ამ პერიოდში „au pair programs“-ის პროგრამის დახმარებით ჩამოსულებმა, შემდეგ ენის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე უნივერსიტეტებში სწავლა გააგრძელეს. კვლევის მონაწილეებმა განათლება გერმანიის უნივერსიტეტებში მიიღეს, ნაწილმა სადოქტორო საფეხურიც წარმატებულად დაასრულა და დღეს ნაწილი სამეცნიერო კარიერას უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებში აგრძელებს, ხოლო მეორე ნაწილი დასაქმებულია მისი პროფილის მიხედვით. კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა ქალები არიან, რომლებიც უმალლესი განათლების მიღების შემდეგ, სოციალური მასწავლებლები არიან და, ასევე, გერმანულ ენას ასწავლიან „ინტეგრაციის კურსებზე“. რესპონდენტებიდან მხოლოდ რამდენიმე აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც არ ინდომეს აკადემიური განათლება და პროფესიული განათლების მიღების შემდეგ გააგრძელეს მუშაობა და ცხოვრება გერმანიაში.

„სწავლის ნაცვლად აქ სხვა შემოთავაზებები იყო და ის შევეცადე გამეკეთებინა, უფრო მალე რომ დამეწყო მუშაობა“ (ქალი 47 წლის).

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა დაქორწინებულია, ნაწილს ქართული ოჯახი აქვს (ძირითადად მამაკაცებს), ნაწილს ინტერნაციონალური (ძირითადად ქალებს), გერმანელი მეუღლეები და შვილები.

„მამაკაცებს ძირითადად ქართველი ცოლები ყავთ, იშვიათად აქაური გერმანელი იყოს, თუ ჰყავს ვინმეს უცხოელი, პოსტსაბჭოთა ქვეყნიდანაა, რუსულად მოლაპარაკე, ან გერმანელი, ისინი ვინც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდნენ გერმანიაში“ (მამაკაცი 38 წლის).

რესპონდენტების ნაწილი დაახლოებით 20 წელიაა უკვე გერმანიაში ცხოვრობს და „უშუქო და გათბობის გარეშე“ დარჩენილი პოსტსაბჭოთა საქართველოს შემდეგ გერმანიაში მონესრიგებულ პირობებში ცხოვრება ჯერ შოკის მომგვრელი და შემდეგ, როგორც ამბობენ, მომხიბვლელი იყო.

„რომ ჩამოვედი და აეროპორტიდან ტაქსით მიმავალს ჩაბნელებული თბილისის მეორე ქალაქი ისეთი განათებულ-გაჩახჩახებული დამხვდა ..., ეს იყო ყველაზე დიდი შოკი, რაც იმ დროს მე შეიძლებოდა მქონოდა“ (ქალი 42 წლის).

მონაწილეთა ნაწილი უფრო გვიან ჩამოვიდა ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა საქართველოში უშუქობის და უგაზობის პრობლემა ნაკლებად

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

იყო. რესპონდენტთა ეს ნაწილი ამბობს, რომ მათთვის მთავარი შესაბამისი განათლების მიღება და ნორმალურ პირობებში ცხოვრება იყო გადამწყვეტი გერმანიაში ჩამოსვლისთვის.

„მნიშვნელოვანი ევროპული განათლება იყო, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, კერძოდ ენის მაღალ დონეზე შესწავლა სკოლაში და რეპეტიტორთან, გადამწყვეტილებაც ამის საფუძველზე მივიღე“ (მამაკაცი 33 წლის).

დღეს, როცა კვლევის ყველა მონაწილე, მათი შეფასებით, წარმატებულია თავის საქმეში, ყველა დასაქმებული და კმაყოფილია თავისი ცხოვრებით, ისინი თავიანთ ნარატივებში ჰყვებიან სხვადასხვა ტიპის ურთიერთობების შესახებ ადგილობრივ, „დამხვედრ“ საზოგადოებასთან.

2. იდენტობა – კოგნიტური დისონანსი

კვლევის მონაწილეთა ნარატივის თვისებრივი კონტენტ ანალიზის დროს, იდენტობის ორი ქვეკატეგორია გამოიყო: იდენტობა გერმანიაში ცხოვრებისას და იდენტობის შენარჩუნების განსხვავებული აღქმა, რომელსაც ისინი სამშობლოდან შორს ყოფნას უკავშირებენ.

იდენტობაში ისინი – ქართველობას ილია ჭავჭავაძის ფრაზის „ენა, მამული, სარწმუნოების“ (ჭავჭავაძე, 1860) ტრიადაში განიხილავენ. ნარატივის ანალიზისას გამოჩნდა, რომ უფრო „კარგი“ ქართველია ის, ვინც შვილებს ენას არ უკარგავს, ინარჩუნებს რელიგიას – სახლში ხატების კუთხის არსებობით, ასევე, სამშობლოში საკუთრების (საცხოვრებელი ბინა, მიწა სოფელში) შენარჩუნებით ან შექენით.

იდენტობის მეორე ნაწილი არის სამშობლოს მიმართ მათი დამოკიდებულება, რომელიც მათ უკან დაბრუნებას უკავშირდება. უკან დაბრუნება – დროში განუსაზღვრელია, რაც საუბრებში ან პენსიაში გასვლის შემდეგ დაბრუნებაზე ან აუცილებლად სამშობლოში დასაფლავებაზე საუბრით გამოიხატება. თუკი ამ აზრს გავუყვებით და გავაანალიზებთ, ცალკეულ მოვლენებს კოგნიტურ დისონანსთან (Festinger, 1957) მივყავართ. როგორც ფესტინჯერი აღნიშნავს, იდენტობის შენარჩუნების, სტრატეგიების შემუშავებისა და შერჩევის პროცესი ძალიან ჰგავს კოგნიტურ დისონანსს (Festinger, 1957).

ქართველი ემიგრანტების შემთხვევაში ეს დისონანსი, ჩემი დაკვირვებით, რამდენიმე საკითხში ისახება:

2.1. საქართველოსთან, როგორც სამშობლოსთან დაკავშირებული დისონანსი

ვინ არის ქართველი? – ქართველი არის ადამიანი, რომელიც დაბადებულია და ცხოვრობს საქართველოში, საუბრობს ქართულად და მართლმადიდებელი ქრისტიანია. ქართველისთვის კონცეფტუალიზებულია სამი მთავარი რამ – „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“ (ჭავჭავაძე, 1860) – დღემდე ერის საიდენტიფიკაციო საპროგრამო სიტყვებად არის მიჩნეული. 3 ეთნიკური მარკერი აქვს ქართველის იდენტობას 1. ტერიტორია, რომელიც ჭავჭავაძის მიერ არის გადმოცემული, როგორც მამული; 2. ენა, რომლის ეროვნული სული მანიშნებ-

ლია და 3. ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის მიმართ, ილიას აზრით, ქართველების ერთგულება უპრეცედენტო იყო (Chkhartishvili, 2013).

იდენტობის განმტკიცება საბავშვო ბაღსა და სკოლაში ხდება. კოლინზი (Collins, 2015) ამბობს, რომ ყველა ეროვნების ეთნიკური იდენტობა ყალიბდება ბავშვობაში, არსებული ანდაზების, ლექსების და ზღაპრების საფუძველზე, რომელიც მის სამშობლოს ეხება. „ნებისმიერი ერის სამშობლო, მითოლოგია თავის კულტურულ ნარატივებს შორის მოიცავს მისი დაარსების გარკვეულ ცნობებს, რომლებიც უბრალოდ ადიდებენ მის მიღწევებს“ (Collins, 2015). ქართველობის, როგორც ერთნიკური იდენტობის განმტკიცება სწორედ საბავშვო ბაღსა და სკოლაში ნასწავლი ქართველი ავტორების და ხალხური ლექსების მიხედვით მტკიცდება. ქართული საზოგადოების ცნობიერებაში სამშობლოს ერთგულება და სიყვარული ლექსებთან და პოემების სწავლით ყალიბდება, მათ შორის შეიძლება შემდეგი ორი მაგალითი მოვიყვანოთ, კერძოდ: რაფიელ ერისთავის საშობლო ხევისურისა, რომელიც ამბობს: „...არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშბლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...“ (ერისთავი & ცინცაძე, 1974) და დუტუ მეგრელის პატარა ქართველი, რომელშიც ნათქვამია: „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩენია აქ სიკვდილი“ (დუტუ მეგრელი, 1932).

ეს ლექსები ყველა ქართველი ბავშვის სამაგიდო ლექსია, სადაც მყარად წერია, რომ სამშობლოს გაცვლა (სამშობლოდან წასვლა) არ არის კარგი საქციელი და ჯობია სამშობლოში მოკვდე, ვიდრე სხვაგან (სხვა ქვეყნის სამოთხეში) კარგად იცხოვრო. ჩემი აზრით, ბავშვობაში დაგრუნტული ეს ინფორმაცია გავლენას ახდენს ქართველზე ყველგან – საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ეს გავლენა ძლიერია ემიგრანტების აღქმებსა და შეფასებებზე, რადგან ეს შეფასება მათ სამშობლოს და მათ მიგრაციაში ცხოვრებას ეხება. ეს კი იდენტობის შენარჩუნების სტრატეგიების შემუშავების პროცესში კოგნიტური დისონანსის ერთ-ერთ საფუძველს შეადგენს.

ამ კვლევის მონაწილეები, შერჩევის კრიტერიუმის თანახმად, 10 წელი და მეტი ხანია ცხოვრობენ გერმანიაში. მათ თხრობაში საქართველოსთან დაკავშირებით განსაკუთრებით იგრძნობა შიში საკუთარი ჯგუფის მიერ სტიგმატიზების (მათ მიერ გარიყვის), როგორც მათი ქცევის „სამშობლოს ღალატად“ აღქმის შიში, რომელიც, ჩემი აზრით, მათ ნარატივებში მაკომპენსირებელ არგუმენტებში ვლინდება. სკოლაში მიღებული ცოდნის ნაწილია ხედულება, რომ საქართველოს დატოვება სამშობლოს ღალატია და ეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი.

ინტერვიუების დროს მათი საქართველოდან წასვლის მიზეზებზე საუბრისას უმრავლესობის მიგრაციის მიზეზებში ხაზგასმულია სწორედ ის უკიდურესი მდგომარეობა, რომელიც ამ დროს საქართველოში იყო, რამაც განაპირობა მათი წამოსვლა. ცხოვრების გასაუმჯობესებლად მიგრაცია – საუკეთესო გზად არის მიჩნეული. კვლევაში მონაწილეები ჩამოვიდნენ, ისწავლეს და მერე დარჩნენ საცხოვრებლად, ნაწილმა ოჯახი შექმნა, ნაწილმა – კარიერა გაიკეთა.

კითხვაზე, ახლა ამ გადასახედიდან შეაფასეთ საქართველოს მდგომარეობა იმასთან შედარებით, როცა თქვენ წამოხვედით – კვლევის მონაწილეების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა. ამბობენ, რომ იქ დღესაც შეუძლებელია ცხოვრება, ახლაც ცხოვრების გაუსაძლისობას უსვამენ ხაზს.

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

„გაუსაძლისია ცხოვრება საქართველოში, იქ რა უნდა აკეთო? სანამ იქ მდგომარეობა ასეთი იქნება აბა სად დავბრუნდე“ (52 წლის ქალი).

*„არაფერი არ შეცვლილა, ისევ ისეთი მდგომარეობაა რომ ჩამოვედი...“
(29 წლის მამაკაცი)*

მონაწილეების გერმანიაში წამოსვლის მერე 10 წელზე, და ზოგისთვის 20 წელზე მეტი გავიდა. თუ ობიექტურად შევხედავთ, საერთაშორისო შეფასებების (*World Bank Report WB, 2021*) საფუძველზეც კი ძალიან განსხვავებულია მდგომარეობა 90-იან წლებთან, 2000-იანების დასაწყისთან და თუნდაც 2010 წელთან შედარებით.

ჩემ მიერ სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების დროს, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ქართველ ემიგრანტებს ვხვდებოდი, თითქმის ყველა ერთნაირად აფასებდა საქართველოს დღევანდელ რეალობას, როგორც გაუსაძლისს და შეუძლებელს, და მიზეზად იმისა თუ რატომ არ ბრუნდებიან სამშობლოში (თუმცა კითხვა დაბრუნდებით თუ არა საქართველოში არ ყოფილა, მომავლის შეფასების დროს ეხებოდნენ ამ საკითხს). კვლევის მონაწილე ყველა ემიგრანტი თითქმის ერთნაირად აფასებდა მიუხედავად იმისა ბნელ 90-იან წლებში იყო ემიგრირებული თუ XXI საუკუნის დასაწყისში.

გერმანიაში ჩატარებული სავლე კვლევის დროს ხმამაღლა მოვისმინე მათი შიშები, როცა ერთმა რესპონდენტმა ასეთი ფრაზა თქვა:

„მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში ფსიქოლოგიურად ცხოვრება ძნელია, მაინც აქ ყოფნით ცხოვრებას იმარტივებ. შენი კომფორტის ზონიდან გამოსვლით – ზიხარ სინდისის დასაყრუებლად (კოგნიტური დისონანსის შესამცირებლად) და უგზავნი აქედან ფულს ოჯახს და ახლობლებს...“ (42 წლის ქალი)

ჩემი აზრით, ეს სწორედ იმ კოგნიტური დისონანსის შედეგია, რომელიც სამშობლოს დატოვებით არის გამოწვეული, ისინი იმ დისონანსის შესამცირებელ არგუმენტებს ეძებენ, რათა სამშობლოს დატოვების (ლაღატის) კომპენსირება შეძლონ, რადგან მათ „განცხრომით“ სხვაგან ყოფნა არჩიეს და სხვა „ქვეყნის სამოთხეში“ ცხოვრობენ.

კვლევაში მონაწილე გერმანიაში მცხოვრები მიგრანტებიდან, ისევე როგორც კვლევებში პორტუგალიასა (2016) და საფრანგეთში (2017), მხოლოდ ერთეულები აღიარებენ, რომ სხვა ქვეყანაში საკუთარი და შვილების ცხოვრების შესაცვლელად არიან წამოსულნი, მაგრამ ამ დროსაც კი, ნაწილის აზრით, მათი შვილები, განათლების მიღების შემდეგ უკან დაბრუნდებიან და სამშობლოს გამოადგებიან, ხოლო თვითონ აუცილებლად სიცოცხლის ბოლო წლებს საქართველოში გაატარებენ, პენსიაზე გასვლის შემდეგ დაბრუნდებიან და „დაიმარხებიან“ საქართველოში. ესეც ჩემი აზრით, იმ დისონანსის ნაწილია, რომელიც სამშობლოში დაბრუნების თუნდაც შორეულ გეგმას – „სამშობლოს ღალატად“ არჩათვლას გულისხმობს.

2.2. კოგნიტური დისონანსის – ჯგუფის შიგნით და ჯგუფთაშორისი კონფლიქტები და სტიგმატიზება

ახალ გარემოში კულტურებს შორის კომუნიკაციაში, მიგრანტი თავისი იდენტობის დაცვის მექანიზმებს ეძებს, ისეთს, სადაც მისი იდენტობა არც სტიგმატიზებული და არც ისე რეალიზებული იქნება.

მიგრანტების სტიგმატიზება ორი მიმართულებით ხდება (ორმაგი სტიგმატიზება), პირველი, როცა სტიგმატიზება ხდება ადგილობრივი, დამხვედრი საზოგადოების მიერ და მეორე, როცა თვითონ მიგრანტთა ჯგუფის შიგნით ხდება სტიგმატიზება (Tsuladze, 2013).

ჯგუფის გარედან არსებული სტიგმები, მათი აღქმით არის ის, რომ ქართველები, როგორც კრიმინალები – „ბინის ქურდები“ მოიხსენიებიან ევროპაში და, მათ შორის, გერმანიაშიც. გერმანიაში არსებული სტატისტიკა და ხანდახან მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია ხელს უწყობს ამ სტიგმატიზების პროცესს. ქართული იდენტობის ამ მიმართულებით განზოგადება ძალიან მტკივნეული პროცესია როგორც გერმანიაში, ასევე სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის (ფირცხალავა, 2017, 2021) ქართველი ემიგრანტების მხრიდან შეფასებისას ხშირად ობიექტურობას სუბიექტურობა ჯაბნის და ირთვება თავდაცვის მექანიზმი, რომლის დროსაც მიგრანტები სიტუაციიდან თავის დასაღწევად საკუთარ ჯგუფს სხვა ჯგუფთან ადარებენ.

„ქართველები რა კრიმინალები არიან? კრიმინალებით სავსეა ევროპა. მაშინ როცა 2019-ში 16 ტონა კოკაინი შემოვიდა გერმანიაში... სხვების მიერ, და აქ ასეთ კრიმინალში ქართველი რა მოსატანია... ქართველი მაქსიმუმ ბოტასებს იპარავს...“ (მამაკაცი, 49 წლის).

ქართველების „გაკრიმინალების“ მიზეზებს სხვაგან ეძებენ, კერძოდ ნაწილ ემიგრანტს ქვეყნის წინააღმდეგ „აგორებული კამპანიის“ ნაწილად მიაჩნია:

„წელიწადში ერთხელ გერმანია აქვეყნებს კრიმინალის სტატისტიკას, პრესკონფერენციაზე უნდა დაისვას მხოლოდ 10 კითხვა. ყოველ წელს ამ 10 კითხვიდან ერთი კითხვა აუცილებლად არის ქართველებზე, ეს არის რუსული გადაცემა „პლანეტა“, რომლის ჟურნალისტი ყოველწლიურად კითხულობს ერთსა და იმავეს. ამ პრესკონფერენციის შედეგები იბეჭდება და ვრცელდება... და გამოდის, რომ ყოველ წელს ხდება ამ პასუხებში ქართველი, როგორც არ უნდა იყოს მისი დანაშაული... პოლიციური ძალებიც გვიდასტურებენ, რომ ასეთი აღსანიშნავი კი არ არიან ქართველი კრიმინალები...“ (მამაკაცი 49 წლის).

კოლექტიური იდენტობის ამ დისონანსთან გასამკლავებლად ქართველები სხვადასხვა ტიპის არგუმენტს იშველიებენ, ერთ-ერთი შედარების ტაქტიკა/სტრატეგიაა, რაც დისონანსის დასაძლევად და იდენტობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია:

„ერთმა პოლონელმა პოლიციელმა მითხრა, ისე შემრცხვა როცა საკანში 25 დაკავებულიდან 24 პოლონელი იყო, ასე რომ, მხოლოდ ჩვენ არ ვართ ასეთ დღეში.“ (49 წლის მამაკაცი).

არის სხვა არგუმენტებიც:

„პროცენტულად ამდენი არა ვართ(კრიმინალს გულისხმობს), როგორც ეს ჩანს...“ (55 წლის მამაკაცი).

შემდეგი არგუმენტი არის სხვა საზოგადოების მოხსენიება, კერძოდ მსჯელობა იმაზე, რომ არის კატეგორია დამხვედრი საზოგადოებისა, რომლისთვისაც ეს არ არის მნიშვნელოვანი:

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

„გერმანიაში მაღალ საზოგადოებაში, ინტელექტუალურ, განათლებულ საზოგადოებაში ამას ყურადღებას არ აქცევენ“ (46 წლის ქალი).

თუმცა ეს გასწავლებულობა ჯგუფის შიგნით სხვადასხვანაირად იხსნება. თუკი ამას ქართველთა ჯგუფში განიხილავენ, მაშინ სხვა ტიპის შეფასებები ირთვება, თითქოს გარემოებებიდან გამომდინარე მისაღები და ახსნადი ხდება მათი კრიმინალური ქცევა:

„ვინც ლტოლვილებად ბარდებიან მათი მდგომარეობა საშინელებაა, და ვერასდროს ვერ ვიტყვი მათზე ვერაფერს“ (38 წლის ქალი).

„მორბენალ ბიჭებთან (მორბენალებს ეძახიან სწორედ იმ „ე.წ. ბოტასების ქურდებს“) ვერ ვურთიერთობ“ (40 წლის მამაკაცი).

„ამის გამო საერთოდ ვცდილობ ნაკლებად გავეკარო ქართველებს“ (27 წლის ქალი).

ქართველები საკუთარი ჯგუფის იდენტობის შეფასებების დროს ცდილობენ დადებით თავისებურებებზე გააკეთონ აქცენტი, საუბრისას ხდება „ქართველობის“ კარგ მხარეებზე ხაზგასმა, რომ არც ისეთი ცუდები ვართ, რადგანაც აი გერმანელები, რომლებიც ქართველებთან კარგ ურთიერთობაში არიან ცდილობენ ქართული ისწავლონ, სხვანაირად ასე ხომ არ იქნებოდა...

„შერეული ოჯახების გერმანული ნაწილი ცდილობს ჩვენს ენაზე ლაპარაკს და ამისთვის ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ; გერმანელი ქმრებისთვის ქართული ენის წრეები გვაქვს, სადაც სიამოვნებით დადიან ქართველი ქალების მეუღლეები“ (55 წლის მამაკაცი).

სტიგმატიზება ხდება ჯგუფის შიგნით. აღსანიშნავია რომ ჯგუფის შიგნით სტიგმატიზების დიდი წილი, სწორედ საქართველოსთან ქართველების დამოკიდებულებაზე მოდის. მიგრანტების აღქმა სამშობლოს სიყვარულის და სამშობლოს „ღალატის“ ტერმინებში იდენტიფიცირდება.

კვლევაში მონაწილეთა ნარატივების მიხედვით, ქართველი მიგრანტების ჯგუფის შიდა სტიგმატიზება გენდერულად სეგრეგირებულია. ქართველი ქალის უცხოელზე, ამ შემთხვევაში გერმანელზე გათხოვება, აღქმულია ნეგატიურად და სასიყვარულო მოტივისგან დაცლილად, უფრო გამორჩენით, მოქალაქეობის მიღების მოტივაციას უკავშირებენ, ვიდრე გრძნობებს. მამაკაცების შემთხვევაში ეს მოსაზრება განსხვავებულია. მონაწილეთა ინტერვიუების მიხედვით, იშვიათია მამაკაცი, რომელიც დაქორწინებულია ადგილობრივ გერმანელზე, თუ ისინი ქორწინებაში იმყოფებიან უცხოელთან, მათი უცხოელი მეუღლეები უფრო მეტად პოსტსაბჭოთა სივრციდან ან „საბჭოთა“ გერმანელები (რუსულად მოლაპარაკე) არიან. ქართველ მიგრანტებს ჰყავთ გერმანელი „მეგობარი გოგოები“ (girlfriends) იშვიათად, მაგრამ ნაკლებად მეუღლეები. ხოლო რაც შეეხება ქართველ ქალებს, მათ, ძირითადად, გერმანელებთან აქვთ შექმნილი ოჯახები. ქართველი ქალების ეს „ქცევა“ უარყოფითად არის შეფასებული, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მიგრანტი ქართველი ქალების ნარატივებში:

„გერმანელზე გათხოვება თითქმის მოღალატეობასთან არის გათანაბრებული, თითქოს სიყვარულით არ შეიძლებოდეს ადგილობრივთან ოჯახის შექმნა“ (56 წლის ქალი).

„სინდისის ქეჯნა აქვთ და არის სიტუაცია „გრინგო ვერსუს ჯიგიტი“. ვინ ვის მიჰყვება ის არის მნიშვნელოვანი, ხოლო ის, თუ ვინ მოჰყავს ცოლად ნაკლებად. გოგოები

რომ მიჰყვებიან უცხოელებს, ან ჰყავთ უცხოელი პარტნიორი არის სულ სალაპარაკო. დახურულ ჯგუფებში სულ კონფლიქტის მიზეზია... თუ ქართველი გოგო გერმანელს გაყევი – ცუდია, მაგრამ თუ სხვა ეროვნებას გაყევი ხომ საერთოდ... ქართველი ქალი, რომელიც ქართველ კაცს არ გაჰყვა ცოლად, არის ყველაზე მონყვლადი ჯგუფი აქ (ჭორაობენ)...“ (ქალი 49 წლის).

„ჯგუფში ხშირად განიხილება ეს საკითხი, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევ, მე ჩემი ცხოვრება მაქვს“ (41 წლის ქალი).

გერმანულ გარემოში ინტეგრაცია არის ერთგვარი დაპირისპირების მიზეზი, მასპინძელი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულება, მის მიმართ გამოხატული დადებითი და უარყოფითი შეფასებები წარმოადგენს კამათის საგანს. ზოგისთვის იდეალიზებულია გერმანია, ზოგიერთი, პირიქით, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, იმის მიხედვით რამდენად გრძნობენ თავს ინტეგრირებულებად ეს განაპირობებს ამ ტიპის შიდა ჯგუფურ კონფლიქტებს.

„ინტეგრაცია კონფლიქტის საგანია. ბევრი ემიგრანტი იწყებს რეფლექსიას და ზოგი აიდეალებს, ზოგი აკრიტიკებს ქვეყანას, ეს იწვევს წყენას და კონფლიქტებს... ეს, გარკვეულწილად, იდენტობის შემანარჩუნებელია (ქალი 49 წლის).

ჯგუფის შიგნით სტიგმატიზების მიზეზი არის ქართული პოლიტიკაც, რომელიც ხშირად შიდა კონფლიქტამდე მიდის. მიგრანტები იყოფიან სამთავრობო და ოპოზიციის მომხრეებად და ეს, ძირითადად, სოციალურ სივრცეში დაპირისპირებაში გამოიხატება. ეს საკითხი არანაირად არ უკავშირდება მათ გერმანიაში ცხოვრებას. კვლევებაში მონაწილე ქართველების უმრავლესობას ამომწურავი ინფორმაცია აქვს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. შეიძლება არ იცოდნენ რა ხდება გერმანიაში დღეს, მაგრამ რა ხდება საქართველოში, რომელი აქცია სად და როდის ტარდება ამის შესახებ უმრავლესობა საქმის კურსშია.

„საქართველოშიც ვეხმარებით ძალიან, აქციები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ამ ყველაფერს ახლავს კონფლიქტები ადამიანურ დონეზე, გაუგებრობები, პატარა უთანხმოებები... ძირითადად არის ღირებულებები, პოლიტიკაც, კონფლიქტში წამყვანი ყოველთვის პოლიტიკაა. „ქოცები“, „ნაცები“...“ (ქალი 49 წლის).

ერთმანეთს ბრალს სდებენ ან ადანაშაულებენ სხვადასხვა პოლიტიკური მხარისა თუ პოზიციის მხარდაჭერაში და მთელი ემოციებით ერთგებიან ამაში, რაც ცალკეული ადამიანების იარლიყების მიწებებას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტების უმრავლესობას (გამონაკლისების გარდა, მხოლოდ მათ ვისაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ) არ აქვთ ქართულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სოციალური ქსელით აქტიურად არიან ჩართულები ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერ თუ საპირისპირო აქციებში. როგორც კვლევაში მონაწილეები აღნიშნავენ, ეს სანაწილმდეგო პოზიციები ხშირად კონფლიქტებამდე მიდის როგორც ონლაინსივრცეში, ისე მათი იშვიათი შეკრებების დროს.

ჩემი აზრით, ესეც იმ დისონანსის ნაწილია, რომელიც მათ აქვთ „სხვაგან“ ცხოვრებასთან დაკავშირებით. პოლიტიკურ საკითხებზე დებატებით, მისი „ილუზორული“ ჩართულობით საკუთარი ქვეყნის ცხოვრებაში, თითქოს კომპენსირდება და მცირდება „სხვა ქვეყნის სამოთხეში“ „განცხრომით“ ცხოვრებით გამოწვეული დისონანსი.

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

ვფიქრობ, საქართველოს მთავრობის პოლიტიკამაც ხელი შეუწყო მათ ასეთ ჩართულობას, მთავრობა ხაზს უსვამს საქართველოს ეკონომიკაში მიგრანტების ფინანსური მონაწილეობის საკითხს, რაც, ერთი მხრივ, მათთვის კოგნიტური დისონანსის შემცირებას უწყობს ხელს და, მეორე მხრივ, ამწვავებს და აძლიერებს მათი ჩართულობის მოთხოვნების განცდას, თუნდაც ასე, სოციალური ქსელის დონეზე.

თუმცა, საკმარისია რამე საერთო „მიგრანტული“ პრობლემა გამოჩნდეს, რომ ეს კონფლიქტი მეორეხარისხოვანი ხდება და ერთიანდება რამის გასაკეთებლად ან ვინეს დასახმარებლად.

„როგორც კი რაიმე საერთო ხდება ვერთიანდებით, ვთანხმდებით სხვისი დახმარებისას, ამ დროს პოლიტიკაც გვაკინძვება და სხვა ყველაფერი... მერე მაინც ვუბრუნდებით ღირებულებებს...“ (ქალი 49 წლის).

2.3. ქართველობა – სამშობლო, ენა, სარწმუნოება/რელიგია

მკვლევრების (Chkhartishvili, 2013; Gamsakhurdia, 2022) აზრით, ეროვნულობის ფუნდამენტური ელემენტები „ენა, მამული, სარწმუნოება“ მოიხსენიება, როგორც დევიზი „ქართველობის“, რელიგია და ენა ქართული იდენტობის ისეთივე მნიშვნელოვანი ასპექტის ნაწილს წარმოადგენს, როგორც სამშობლო. მიგრაციაში ენის და რელიგიის შენარჩუნება წარმოადგენს „სამშობლოს არღალატის“ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც შენი ჯგუფის წევრების მიერ ფასდება, როგორც ერთგულება და პატრიოტიზმი. თუკი ადამიანი სამშობლოში არ ცხოვრობს, მაგრამ მშობლიურ ენას და რელიგიას ინარჩუნებს, ეს ქართველობის შენარჩუნებასთან არის გაიგივებული.

კვლევაში მონაწილე მიგრანტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ უცხოეთში ქართველების გამაერთიანებელი წლების განმავლობაში იყო რელიგია. თავიდან, მიგრაციის სანყის ეტაპზე, ქართველები სწორედ ქართული ეკლესიის გარშემო ერთიანდებოდნენ, ეს მხოლოდ რწმენასთან არ იყო დაკავშირებული, ეს იყო ერთიანობის და სამშობლოს შეგრძნება, რაც გერმანიაში არსებულ ქართულ ეკლესიას უკავშირდებოდა. როგორც კვლევის მონაწილეები, მათ შორის ეკლესიის მღვდელი, ინტერვიუებში აღნიშნავენ, დღეს ასეთი ერთიანობა ეკლესიასთან არ შეინიშნება, ყველა სხვადასხვანაირად გამოხატავს თავის ერთგულებას ქართული ენისა და რელიგიის მიმართ. საეკლესიო დღესასწაულებში დღესაც მრავლად იყრიან თავს შტუტგარტში, იქ სადაც ქართული ეკლესიაა. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ზოგიერთი ემიგრანტი ემიგრაციაში იმაზე მეტად რელიგიური ხდება ვიდრე სამშობლოში იყო.

კითხვაზე თუ როგორ ინარჩუნებენ ქართველები საკუთარ იდენტობას, პასუხები ერთგვაროვანია და, ძირითადად, რელიგიას, ენას და ქართულ სამზარეულოს უტრიალებს.

ქართველები ჯგუფის შიგნით სხვადასხვანაირად ყოფენ მიგრანტებს, ისინი ვინც ცდილობენ თავი ძალიან ქართველად წარმოაჩინონ გარეგანი მარკერებით: ხატების კუთხე სახლში, საეკლესიო დღესასწაულების ფართო წრეში აღნიშვნა, ქართული წიგნები და ქართველი მხატვრების ტილოების კედელზე გამოფენა.

„ვინ, როგორ?!“ „ქართველობის“ შენარჩუნებას რელიგიის შემთხვევაში ხატი ედება საფუძვლად... სამი კატეგორია ქართველის არსებობს აქ: 1. ხატი აქვს კედელზე 2.

ლამფა აქვს, როგორც ინტელექტუალობის მაჩვენებელი 3. სნობს ქართველი მხატვრის ტილო. ზოგი დადის ეკლესიაში, ცდილობს ჩადებულ ღირებულებები არ შეიცვალოს, ზოგი სინთეზს აკეთებს, ზოგი...“ (ქალი 43 წლის).

ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში ამას ძალიან არ გამოხატავენ, მაგრამ ქართველებზე საუბრის დროს ხაზი ესმევა, იმას თუ რამდენად გამართულად ლაპარაკობენ მიგრანტების შვილები ქართულ ენაზე. ენის და რელიგიის შენარჩუნების თვალსაზრისით საინტერესოა შერეული ოჯახების შემთხვევები. თუ ოჯახში დედა ქართველია, თითქმის ყველას შვილი ქართულ ენაზე ლაპარაკობს, დიდ ქალაქებში, შეძლებისდაგვარად, საკვირაო სკოლებში დაჰყავთ შვილები, ზოგ ოჯახში გერმანელი მამაც დაინტერესებულია ენის სწავლით და ისინიც დადიან ამ საკვირაო სკოლებში. ასევე მონაწილეთა ნარატივების მიხედვით აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ოჯახებში, სადაც გერმანელი მამები ძალიან რელიგიურები არ არიან (ძირითადად ეს კათოლიკე მამის შემთხვევაში ხდება), ყველა ბავშვი მართლმადიდებლურად არის მონათლული, ესეც როგორც კვლევის მონაწილეები ამბობენ, ერთგვარი ფორმაც ქართველობის შენარჩუნების და სამშობლოს „არღალატის“.

ყველა ოჯახში ქართული იქნება თუ შერეული, ქართული სამზარეულო ითვლება იდენტობის მთავარ ატრიბუტად და, ასევე, ხაზგასმულად სტუმართმოყვარეობის ქართული ვერსია, როცა სტუმარს აუცილებლად სახლში ეპატიჟები გაშლილი სუფრით და სასმელით. ხაზგასმულია ნარატივებში ის „სისავსე“ რაც ქართულ სუფრას ახლავს თან, და გაკვირვების ფონს არ ცვლის სტუმრებისას, მაგრამ მონაწილეები ამას აღნიშნავენ, რომ ეს არის ის, რაც მნიშვნელოვნად ქართული თავისებურება და ხასიათია.

„აქ მიღებულია, როცა გეპატიჟებიან სადმე ნასადილევი უნდა წახვიდე, რადგან იქ სასმელი და „სნეკი“ დაგვდება მხოლოდ, მე ასე სად შემიძლია... მე სადილებს ვმლი ჩვეულებრივად, ჩემთან ადამიანი რომ მოვა, იმას ხომ უნდა ვასიამოვნო – ჰოდა ეს ქართულია და უყვარს ეს ჩემს ქმარსაც და მეგობრებს ჩვენთან სტუმრობა“ (ქალი 42 წლის).

ქართული სამზარეულოს ქართული მარკერები „ხინკალი“ და „ხაჭაპური“, ყველა მიგრანტის ირგვლივ მყოფისთვის ნაცნობია და მიგრანტებისთვის ესეც ქართველობის აქაური მახასიათებელია.

3. აღქმები და სოციალიზაცია – იდენტობის სტრატეგიები

ქართველი მიგრანტების ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრირებას იდენტობის სხვადასხვა სტრატეგია უწყობს ხელს. კვლევის მონაწილეები კითხვების შესაბამისად საუბრობენ ქართველებსა და ადგილობრივი საზოგადოების მსგავსება-განსხვავებაზე, ურთიერთობებზე, მათ შორის და ასევე საკუთარი ეთნიკური ჯგუფის შიგნით არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე, დამოკიდებულებებზე.

კვლევის მონაწილე გერმანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტებისთვის ყველაზე გამოყენებადი სტრატეგიები არის „პრაგმატული“, „განმასხვავებელი“ და „გადატანილი ნეგატიური“ იდენტობის სტრატეგიები.

კვლევის მონაწილეების ნარატივში „განმასხვავებელი იდენტობის“ სტრატეგიის გამოყენება ხშირად ხდება. კითხვაზე რა რის მსგავსი და რა არის განსხვავებული ქარ-

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

თველებსა და გერმანელებს შორის – ქართველი ემიგრანტები ისევე, როგორც პორტუგალიასა და საფრანგეთში, (ფირცხალავა, 2017, 2021) აქაც, გერმანიაში მცხოვრები ქართველები განსხვავებულს უფრო მეტს ხედავენ ვიდრე მსგავსებას.

რა არის განსხვავება ადგილობრივ საზოგადოებასა და ქართველებს შორის? პირველ რიგში, რასაც კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, ეს არის მათი დისტანციურობა ურთიერთობებში. აქვე ისინი ხაზს უსვამენ, რომ დისტანციურობა მათი ზოგადი დამახასიათებელი თავისებურებაა, რადგან ამას ამჩნევ მართო იმიტომ კი არა, რომ ემიგრანტი ხარ, რესპონდენტების აღქმით, ისინი საკუთარ შვილებთანაც დისტანციურები არიან. ასეთ დისტანციას იკავენენ ყველაფერში საკუთარ მეგობრებთანაც, მათ შორის. კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც თვლის, რომ კარგად არის ინტეგრირებული ადგილობრივებთან და, სხვა ქართველებისგან განსხვავებით, ჰყავს გერმანელი მეგობრები, ზოგადად მეგობრობის ცნების/შინაარსის გაგებაში ხედავს განსხვავებებს ქართველებსა და ადგილობრივებს შორის:

„ჩემმა უახლოესმა გერმანელმა მეგობარმა, ჩემგან გაიგო მისი მეგობრის, რომელიც მან გამაცნო წლების წინ, თხილამურებით გატაცების შესახებ. გაოცებულმა მკითხა შენ საიდან იცი ეს ამბავი? ისინი, ჩვენგან განსხვავებით, კითხვებს არ სვამენ, თუ არ იკითხა ისე, ხომ არ მოუყვები. ჩვენ კი კითხვებს ვსვამთ, ესაა განსხვავება“ (ქალი 39 წლის).

მეგობრობის აღქმის და გაგების განსხვავებულობას კვლევის ყველა მონაწილე ხაზს უსვამს და თან ცდილობენ ახსნან გარკვეული გარემოებით:

„ჩვენთან მეგობრობა ხანგრძლივია და, შეიძლება ითქვას, მუდმივი. მნიშვნელობა არა აქვს ტერიტორიულად სად ხარ, სად ცხოვრობ, აქ კი ისინი „მეგობრობის ხელშეკრულების“ გაუქმებას ახდენენ. მოვა შენთან და გეტყვის სხვა ქალაქში გადავდივარ საცხოვრებლად და უნდა შევწყვიტოთ მეგობრობა.... გამაოგნებელია ჩვენთვის – აი რა შეიძლება იყოს კიდევ განსხვავებული“ (ქალი 43 წლის).

კვლევაში მონაწილე ქართველი მიგრანტები გერმანიაში, ისევე როგორც პორტუგალიასა და საფრანგეთში (ფირცხალავა, 2017, 2021) ოჯახში შვილების აღზრდის სტილის და დედამიწვილობის განსხვავებულ აღქმას უსვამენ ხაზს.

საინტერესოა ისიც, რომ ეს გასხვავება არის, მაგრამ ძალიან მოსაწონია.

მაგალითისთვის:

„მართალია, ჩვენსავით არ იხუტებენ შვილებს ყოველ წუთში გულში და არ კოცნიან, მაგრამ რაც ძალიან მომწონს ეს არის, რომ შვილებს ელაპარკებიან. მაგიდასთან სხდება მთელი ოჯახი და ეკითხებიან შვილებს, რა პრობლემები აქვთ, მათთან გადის კონსულტაციებს სხვადასხვა ოჯახურ და პირადულ საკითხებზე. ჩვენს კულტურაში ეს არ არის მიღებული, ვინ გვეკითხებოდა ბავშვობაში რამეს? ყველამ ჩვენზე უკეთ იცოდა ყველაფერი, ჰოდა მე ეს მომწონს და ვიყენებ კიდევ შვილებთან ურთიერთობაში“ (ქალი 42 წლის).

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ გერმანიაში ცხოვრების განმავლობაში გერმანული ცხოვრების წესის გარკვეული ინტერიორიზაცია მოხდა მათში და ცხოვრების წესში ამის დანერგვას ცდილობენ. ისინი ამას უდგებიან, როგორც კულტურულ

გაცვლას სოციალიზაციის პროცესში, რაც მათი ყოფის მრავალფეროვნების და ადგილობრივ გარემოსთან მორგების კარგი საშუალებაა.

კვლევის მონაწილეების აღქმები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სოციალური სტატუსი აქვთ მათ ამ გარემოში, კერძოდ, საუნივერსიტეტო სივრცეში მყოფი ქართველი ემიგრანტები აღნიშნავენ, რომ ამ განსხვავებებს დიდი ყურადღება არ ექცევა და მათი ემიგრანტობა არ იძენს განსაკუთრებულობას,

*„აკადემიურ სივრცეში ამას არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ხარ საიდან ხარ“
(ქალი, 48 წლის).*

თუმცა ისინი ვინც არ საქმიანობენ აკადემიურ სივრცეში, ხაზს უსვამენ იმას, რომ:

„რაც არ უნდა კარგად იყო სოციალიზებული შენი აზრით, მათთვის მაინც ყოველთვის ემიგრანტი ხარ და ამ განსხვავებას ყოველ ნაბიჯზე გრძნობ“ (მამაკაცი 49 წლის).

მსგავსებას რაც შეეხება, ცნობისმოყვარეობაზე ამახვილებენ ყურადღებას, როგორც საზოგადოდ მსგავს თავისებურებაზე მასპინძელ და დამხვედრ საზოგადოებას შორის:

„რომ მგონია, არაფერი აინტერესებთ, თურმე ზუსტად იციან ვინ მოდის ჩემთან, რამდენი ხნით და რას აკეთებს. ეს სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე და გაოგნებული ვიყავი... ასე რომ, ამით გვგვანან“ (ქალი 36 წლის).

ასევე მრავლადაა მონაწილეთა ნარატივებში „გადატანილი ნეგატიური იდენტობა“. ჩემი აზრით, „გადატანილი ნეგატიური იდენტობის“ სტრატეგია შემუშავებულია, როგორც თავდაცვის რეაქცია, სტიგმის თავიდან ასაცილებლად სხვა „მორბენალი“ (მორბენალი ბიჭებს ეძახიან წვრილმან ქურდებს), „ქურდი“ და „ბინის გამტეხი“ ქართველებისგან დისტანცირებისთვის. საუბრის დროს ის თავს წარმოაჩენს სხვა ქართველებისგან გამოცალკევებულად, ამბობს, რომ მას ამ ხალხთან საერთო არაფერი აქვს და ცდილობს თავი აარიდოს ასეთ ქართველებს.

„მორბენალ ბიჭებთან ვერ ვურთიერთობ“ (40 წლის მამაკაცი).

„ამის გამო საერთოდ ვციდლობ ნაკლებად გავეკარო ქართველებს“ (27 წლის ქალი).

აღნიშნავდ ღირს ის, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან (პორტუგალია (2016) და საფრანგეთი (2017)), კვლევის მონაწილე ქართველი ემიგრანტები გერმანიაში არ იყენებენ „უჩინარის“ იდენტობის სტრატეგიას, პირიქით, კარგად ამჩნევენ თავს და კოლექტიურ იდენტობაზე ხაზგასმით კულტურის იდეალიზაციის გზას ირჩევენ. მათ აქვთ ამის პოტენციალი, რადგან კვლევაში მონაწილე ყველა ემიგრანტს გერმანული განათლება აქვს, რეგისტრირებული და დასაქმებულია გერმანულ გარემოში. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკა და განათლების სისტემა, სადაც ყველას აქვს სწავლის და სპეციალობის მიღების შანსი. როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, ბოლო წლებში საკუთარი იდენტობის წინ წამოწევა ხელი შეუწყო ფრანკფურტში გამართულმა წიგნების ფესტივალმა (Frankfurt Book Fair (Frankfurter Buch Messe) 2020), სადაც საქართველო მასპინძელი ქვეყანა იყო. ბევრი წიგნი ითარგმნა გერმანულად და ბევრი ავტორი გაიცნო გერმანულმა საზოგადოებამ, ამან კი, როგორც კვლევის მონაწილეები ამბობენ, ქართველები დადებითი მხარით

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით...

წარმოაჩინა, აღარ მალავენ თავიანთ იდენტობას, რადგან, როგორც ისინი აღნიშნავენ, განათლებულ წრეებში ისედაც ცნობილი იყო საქართველო, რადგანაც გერმანია ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელში მიგრაციით ქართველები საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაინტერესდნენ.

შეჯამება

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოდან გერმანიაში მიგრირებულ პირთა აღქმისა და დამოკიდებულების გაანალიზებას. როგორც მკვლევრებმა სხვა კვლევებში (Bhugra, 2004; Gäbel et al., 2006; Lersner, 2008) აღმოაჩინეს, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოლოგიური გამოწვევები. ფსიქოლოგიური დისკომფორტი/კოგნიტური დისონანსი თან ახლავს ემიგრანტების ცხოვრებას (Fisher, 1990; Hassan & El Kinani, 2002; Thurber et al., 2007; Tilburg et al., 1996), მათი ინტეგრაციის პროცესს მასპინძელ საზოგადოებაში. მოცემულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიმღებ ქვეყანაში დასახლების გამოცდილება, ახალ კულტურაში, სხვა საზოგადოებაში ადაპტაცია და ინტეგრაცია ხშირად სტრესულია ინდივიდებისთვის და ეს სხვადასხვანაირად გამოიხატება.

ქართველი მიგრანტები კოგნიტური დისონანსის/ფსიქოლოგიური დისკომფორტისა და მონატრების შესამცირებლად სხვადასხვა კომპენსატორულ სტრატეგიას იყენებენ, ამას იდენტობის შენარჩუნების დონეზე გამოხატავენ. შემცირების პროცესი მიმდინარეობს ორივე დონეზე როგორც კოლექტიური იდენტობის, ასევე პიროვნული იდენტობის დონეზე.

კვლევაში ქართველ მიგრანტებს განსაკუთრებული შიში აქვთ საქართველოში მცხოვრები საკუთარი ჯგუფის მიერ სტიგმატიზების, რაც „სხვა ქვეყნის სამოთხეში“ ცხოვრებით „სამშობლოს ღალატის“ შიშს გულისხმობს. ეს გამოიხატება საკომპენსაციო არგუმენტებსა და ქცევებში როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას აქვს საქართველოში საკუთარი ქონება სამშობლოსთან დასაკავშირებლად და ახლა, როდესაც ისინი საქართველოში ჩამოვლენ, საკუთარ სახლში დარჩებიან და არ იქნებიან სტუმრები. ხაზგასმულია, რომ მათი სურვილია, მათი შვილები, ახალი თაობა გაიზარდოს საზღვარგარეთ, მიიღონ კარგი ევროპული განათლება და შემდეგ იფიქრონ სამშობლოში დაბრუნებაზე; რადგან ეს ნიშნავს, რომ აღარ არის „მოღალატე“.

კოლექტიურ დონეზეც აქვთ საკომპენსაციო არგუმენტები, რომ ფულს უგზავნიან ოჯახის წევრებს, ახლობლებს და ასე ეხმარებიან „საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობას“, ამით მხარს უჭერენ სამშობლოს და არ „ღალატობენ“.

ნარატივების მიხედვით, საბჭოთა კავშირის პერიოდში დაბადებული მონაწილეებისთვის კოგნიტური დისონანსის/ფსიქოლოგიური დისკომფორტის და მონატრების შემცირების კომპენსატორული სტრატეგიები უფრო არაცნობიერია, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბადებული სხვა ნაწილის.

რაც შეეხება კატეგორიზაციას და იდენტობის სტრატეგიებს, ქართველი ემიგრანტები, როგორც მოსალოდნელი იყო კატეგორიზაციისას, „სხვა“ კატეგორიაში განიხი-

ლავენ ადგილობრივ, დამხვედრ საზოგადოებას. განმასხვავებლად მასპინძელ საზოგადოებასთან (ჯგუფებს შორის ურთიერთობებში) გამოიყოფა მეგობრობა, აღზრდის სისტემა, დედაშვილური და დედამამიშვილური ურთიერთობები.

ინდივიდუალური იდენტობის ქვესტრატეგიებში გერმანიაში მცხოვრები კვლევის მონაწილე ქართველი ემიგრანტებისთვის ყველაზე გამოყენებადი სტრატეგიებია (Camilleri & Malewska-Peyre, 1996) „პრაგმატული“, „განმასხვავებელი“ და „გადატანილ ნეგატიური“. მასპინძელ საზოგადოებასთან განსხვავების კატეგორიები და იდენტობის სტრატეგიები იგივეა, რასაც იყენებენ ქართველი მიგრანტები პორტუგალიაში და საფრანგეთში (ფირცხალავა, 2017, 2021), მხოლოდ ერთი სტრატეგია – „უჩინარი“, რომელსაც გერმანიაში მცხოვრები კვლევის მონაწილე მიგრანტები არ იყენებენ, რაც მეტად იყო წარმოდგენილი პორტუგალიასა და საფრანგეთში მცხოვრებ კვლევაში მონაწილე ქართველი მიგრანტების ნარატივებში. ვვარაუდობ, რომ ეს შესაძლებელია მიგრანტების სოციალური სტატუსით და მასპინძელი სახელმწიფოს მიგრაციული პოლიტიკით არის განპირობებული. კვლევის მონაწილე ყველა ქართველი მიგრანტი გერმანიაში ლეგალურად არის შემოსული, ქვეყანაში რეგისტრირებულია და თითქმის ყველას გამოყენებული აქვს გერმანიის მთავრობის მიერ შეთავაზებული შანსი უმაღლესი განათლების მიღებისა, ყველას აქვს ლეგალური სამსახური და სწორედ ეს განაპირობებს ამ სტრატეგიის გამოყენების უსაფუძვლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Berry, J. W. (2001). A Psychology of Immigration. *Journal of Social Issues*, 57(3), 615–631. <https://doi.org/10.1111/0022-4537.00231>
- Bhugra, D. (2004). Migration and mental health. *Acta Psychiatrica Scandinavica*, 109(4), 243–258. <https://doi.org/10.1046/j.0001-690X.2003.00246.x>
- Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1980). Socialization and Identity Strategies. In *Handbook of Cross-cultural Psychology: Vol. Basic Processes and Human Development* (second, pp. 41–67).
- Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1996). Socialization and Identity Strategies. In *Handbook of Cross-Cultural Psychology* (2nd ed., 1–2, pp. 43–64).
- Chindea, A., Siar, S., Majkowska-Tomkin, M., Mattila, H., & Pastor, I. (2008). *Migration in Georgia: A country profile 2008*. Geneva: International Organization for Migration.
- Chkhartishvili, M. (2013). Georgian Nationalism and the Idea of Georgian Nation. *Codrul Cosminului*, 19, 189–206.
- Chumburidze, M., Ghvinadze, N., Gvazava, S., Hosner, R., Wagner, V., & Zurabishvili, T. (2015). *The State of Migration in Georgia*. ICMPD International Centre for Migration Policy Development.
- Collins, C. (2015). Homeland Mythology: Biblical Narratives in American Culture. In *Homeland Mythology*. Penn State University Press. <https://doi.org/10.1515/9780271056517>
- de Haas, H., & Fokkema, T. (2011). The effects of integration and transnational ties on international return migration intentions. *Demographic Research*, 25(24), 755–782. <https://doi.org/10.4054/DemRes.2011.25.24>

- Festinger, L. (1957). *A theory of cognitive dissonance* (pp. xi, 291). Stanford University Press.
- Fisher, S. (1990). Environmental change, control and vulnerability. *On the Move: The Psychology of Change and Transition*, 53–65.
- Fisher, S. (2016). *Homesickness, Cognition and Health*. Routledge.
<https://doi.org/10.4324/9781315636900>
- Gäbel, U., Ruf, M., Schauer, M., Odenwald, M., & Neuner, F. (2006). Prävalenz der Posttraumatischen Belastungsstörung (PTSD) und Möglichkeiten der Ermittlung in der Asylverfahrenspraxis. *Zeitschrift Für Klinische Psychologie Und Psychotherapie*, 35(1), 12–20. <https://doi.org/10.1026/1616-3443.35.1.12>
- Gamsakhurdia, V. L. (2022). *Semiotic Construction of the Self in Multicultural Societies: A Theory of Proculturation*. Taylor & Francis Group.
- Goffman, E. (2009). *Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity*. Simon and Schuster.
- Gorgoshidze, K., Noack, M., Pilipenko, X., Sabadello, M., Wagner, V., Abesadze, G., Gachechiladze, N., & Keburia, M. (2014). *Georgian Diaspora and Migrant Communities in Germany, Greece and Turkey Transnational realities and ties with Georgia*. ICMPD International Centre for Migration Policy Development.
- Hassan, K. I., & El Kinani, I. A. (2002). Sudanese international migration: Causes and social and psychological effects. *Soc. Aff.*, 74, 43–62.
- Kim, B. S. K., Yang, P. H., Atkinson, D. R., Wolfe, M. M., & Hong, S. (2001). Cultural value similarities and differences among Asian American ethnic groups. *Cultural Diversity and Ethnic Minority Psychology*, 7(4), 343–361. <https://doi.org/10.1037/1099-9809.7.4.343>
- Lersner, U. von. (2008). *Flüchtlinge in Deutschland: Eine psychologische Analyse der Freiwilligen Rückkehr*. <http://kops.uni-konstanz.de/handle/123456789/10899>
- Padilla, B. (2006). *Redes sociales de los brasileiros recién llegados a Portugal: ¿solidaridad étnica o empatía étnica?* <https://doi.org/10.14198/ALTERN2006.14.4>
- Rashid, N. M. (n.d.). UNDP in Action – Annual Report 2010/2011. *United Nations and the Rule of Law*. Retrieved July 16, 2023, from <https://www.un.org/ruleoflaw/blog/document/undp-in-action-annual-report-20102011/>
- Sam, D. L., & Berry, J. W. (2006). *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology*. Cambridge University Press.
- Sammut, G. (2010). *Points of view and the reconciliation of identity oppositions: Examples from the Maltese in Britain*. <https://www.um.edu.mt/library/oar/handle/123456789/83171>
- Tajfel, H. (1974). Social identity and intergroup behaviour. *Social Science Information/Sur Les Sciences Sociales*, 13(2), 65–93. <https://doi.org/10.1177/053901847401300204>
- Thurber, C. A., Walton, E., & and the Council on School Health. (2007). Preventing and Treating Homesickness. *Pediatrics*, 119(1), 192–201.
<https://doi.org/10.1542/peds.2006-2781>
- Tilburg, M. A. L. V., Vingerhoets, A. J. J. M., & Heck, G. L. V. (1996). Homesickness: A review of the literature. *Psychological Medicine*, 26(5), 899–912.
<https://doi.org/10.1017/S0033291700035248>

Tsuladze, L. (2013). Western Imaginary and Imagined Defense Strategies of Eastern Europe and its Borderlands. *Central European Journal of International and Security Studies*, 7(4), 107–126.

World Bank Report WB. (1990).

World Bank Report WB. (2011).

World Bank Report WB. (2021).

ბადურაშვილი, ი., & ნადარეიშვილი, მ. (2012). *ემიგრაციისა და სოფელ-ქალაქს შორის მიგრაციის სოციალური გავლენა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში*.

მეგრელი, დ. (1932). *ჩემი სიტყვა: ახალი ლექსები*. სახელგამი.

ერისთავი, რ., & ცინცაძე, ს. (1974). *სამშობლო ხევსურისა: ლექსი*. ნაკადული.

ფირცხალავა, ე. (2017). ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელები ჩრდილოეთ პორტუგალიაში. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 3(45), 32–46.

ფირცხალავა, ე. (2021). ქართველი მიგრანტები საფრანგეთში: ჯგუფის შიგნით (ინტრა-ჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობების აღქმა და შეფასებები. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 1(58), 77–91.

ჭავჭავაძე, ი. (1860). ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდან „შემლილის“ თარგმანზედა. ცისკარი.